BPN

Business Professionals Network

ძლიერი მეწარმეობა საქართველოში

წლიური ბიულეტენის ამ გამოცემაში

- დაიჭირეთ პატარა მელიები!
- ქართული ეკონომიკის ხერხემლის გამაგრება
- ,,მართე დრო შვეიცარიული საათივით“
- პირველი ვორკშოპი რეგიონებში. პარტნიორი საკრედიტო ორგანიზაციების მოძიება
- საწარმოთა პროფილები

2017



ჰანს ვილჰელმი

BPN -ის აღმასრულებელი დირექტორი

დაიჭირეთ პატარა მელიები!

დაიჭირეთ პატარა მელიები, რადგან ისინი ანადგურებენ აყვავებულ ვენახს. (სოლომონის სიბრძნე)

როდესაც პატარა მელიებს ვადევნებთ თვალს, როგორ თამაშობენ ისინი ერთმანეთთან ოჯახში, ვფიქრობთ, რა უწყინარი და საყვარელი არიან ისინი და ყველაზე ნაკლებ წარმოვიდგენთ, რომ მათ რაიმე ზიანის მოყენება შეუძლიათ ჩვენთვის.

მევენახე კი სხვაგვარად ფიქრობს მელიებზე. ვენახში მათი ადგილი არაა. რადგან აყვავებული ვენახისთვის მათ დიდი ზიანის მიყენება შეუძლიათ. ისინი თხრიან ფესვებს და ჭამენ ჯერ კიდევ ნორჩ ნაყოფს. რა თქმა უნდა ამას განგებ არ აკეთებენ. უბრალოდ არ იციან და ტკბებიან მკვახე ნაყოფით. ვენახი კი ნადგურდება ან სულაც იღუპება.

თუ ვენახს საწარმოს შევადარებთ, პირველ რიგში უნდა გავიაზროთ შემდეგი: ოჯახი და ვენახი უნდა გაიმიჯნოს ერთმანეთისგან, განსაკუთრებით თუ ოჯახური ურთიერთობები საწარმოს ვნებს, მის განვითარებას აფერხებს ან გაკოტრებამდე მიყავს.

წარმატებისთვის სამი რამაა გადამწყვეტი: დარგობრივი კომპეტენცია, საწარმოო ეკონომიკის ცოდნა და სწორი ღირებულებები.

BPN - ის სემინარებსა თუ ქოუჩინგებზე ჩვენ ვეხმარებით მეწარმეებს, დაინახონ მავნე მელიები. ისინი ძირითადად მცდარი დამოკიდებულებების და არაკომპეტენტური ქცევების მიღმა იმალებიან. მათ გაცნობიერებას წარმატებისკენ მივყავართ, რაც ნიშნავს, რომ ჩემი პროდუქტები თუ შეთავაზებები ბაზარზე არის წარმოდგენილი და ისინი შეესაბამებიან კლიენტების მოთხოვნებს და შეუძლიათ მათი დარწმუნება.

ჩვენი საქმიანობის შემფასებელი საბოლოო ჯამში მომხმარებელია, რადგან ისინი იძენენ ჩვენს ნაწარმს.

უდიდესი სიხარულით მივესალმებით მეწარმეებს, რომელთაც საწარმოში პროცესების დადებითი კუთხით შემობრუნება შეძლეს და ინვესტირება საჭირო კომპეტენციებში განახორციელეს. წარმატება რა თქმა უნდა ერთ დღეში არ მოდის და მის მიღწევას ხანგრძლივი და პროფესიონალური მუშაობა უნდა უძღოდეს წინ, თუნდაც გზად ბევრი წარუმატებლობა შეგვხვდეს. მაგრამ ვინც ამ ყოველივეს გაუძლებს და ყოველი დაცემისას ფეხზე წამოდგება, გაძლიერდება და ახალი გამოცდილებებით აღიჭურვება. ბევრმა ეს გზა უკვე განვლო და მათზე სიამოვნებით ვუყვებით სხვებს.

საწარმოო ეკონომიკის დარგში ცოდნის გაღრმავებაზე და ქოუჩინგზე მზარდი მოთხოვნის პირობებში BPN - ი მხარში უდგას განვითარების მოსურნე საწარმოებს, რომელთაც სურთ პასუხისმგებლობით მოეკიდონ სავალდებულო წარმატების კომპეტენციების დაუფლებას. მათი წარმატებული შრომის ნაყოფს კი ყველა მოიმკის. ამიტომაც მსურს, რაც შეიძლება ბევრი პროგრესული საწარმო შეიქმნას.

ყველას ვუსურვებ სათანადო გამბედაობას, პატარა და დიდი მელიები ჩამოეშორებინოს საწარმოდან, ინვესტიცია განვითარების კომპონენტებში ჩაედოს და მოთმინებით და დაბრკოლებების დაძლევით დაელოდოს სანუკვარი ნაყოფის მომკას.

წარმატებებს გისურვებთ და გაუმარჯოს საუცხოო ღვინოს!

ჰანს ვილჰელმი

BPN - ის აღმასრულებელი დირექტორი.

დანიელ მათერი
BPN -ის ოპერატიული დირექტორი

ქართული ეკონომიკის ხერხემლის გამაგრება

ევრო პარლამენტმა 2017 წლის დასაწყისში ქართველი მოქალაქეების უვიზო მიმოსვლას დაუჭირა მხარი. საქართველოს მოქალაქეებს ამით შენგენის ზონაში უვიზო გადაადგილების საშუალება მიეცათ. მიუხედავად იმისა, რომ ქართველებისთვის ეს პრივილეგია მხოლოდ სამი თვით ბინადრობის უფლებას გულისხმობს და არა მუშაობის უფლებას, ბევრ ქართველს მაინც უჩნდება საზღვარგარეთ კარგად ანაზღაურებადი სამსახურის პოვნის იმედი.

დღეს დღეისობით დაახლოებით 740‘000[1] ქართველია დასაქმებული საზღვარგარეთ და ეს მაშინ, როდესაც ქვეყნის მოსახლეობა ამჟამად 3,7 მილიონს არ აღემატება. 2015 წელს საზღვარგარეთ მომუშავე ემიგრანტების მიერ მათი ოჯახის წევრების მისამართით გადმორიცხულმა თანხამ 1,5 მილიარდი დოლარი შეადგინა და ამით უცხოეთიდან გადმორიცხული თანხის ოდენობა ბრუტო სოციალური პროდუქტის 10,4% - ს გაუტოლდა. ეჭვგარეშეა, რომ საზღვარგარეთიდან ამ გზით შემოსული თანხა ქვეყანაში სიღარიბის დაძლევას უწყობს ხელს, მაგრამ ეს ფაქტორი და ფულადი გზავნილების „Western Union & Co“ -ს აქტიური გამოყენება არც მდგრადი ეკონომიკის ზრდას უწყობს ხელს, არც სამუშაო ადგილების შექმნას ქვეყნის მასშტაბით.

ეკონომიკის წინსვლა ეფუძნება მეტწილად ძლიერ მეწარმეობას. ევროპის ეკონომიკის ხერხემალს სწორედ რომ მცირე და საშუალო საწარმოები წარმოადგენენ. შვეიცარიაში მაგალითად მათი წილი 99% შეადგენს და სამუშაო ადგილების ორ მესამედს ქმნიან. მათ უნდა უმადლოდეს შვეიცარია ინტერნაციონალურ დონეზე კონკურენტუნარიანობას და ნაციონალურ კეთილდღეობას.

წარმატების ამ რეცეპტის გათვალისწინებით BPN Georgia - მ თერთმეტი ვორკშოპი და სამი სემინარი ჩაატარა და ამ საგანმანათლებლო აქტივობით და ქოუჩინგებით მთლიანობაში 105 მეწარმეს ამოუდგა მხარში. BPN - ი მიესალმება სამუშაო ადგილების შექმნას, შემოსავლის წყაროს გაჩენას და ალტერნატივების არსებობის იმედს ქართველებისთვის, რომლებიც ბედს საზღვარგარეთ ეძიებენ.

მინდა BPN - ის სახელით ჩვენს ერთგულ პარტნიორებს და სემინარების თუ პროგრამის მონაწილეებს გასულ წელს კონსტრუქციული თანამშრომლობისთვის გულითადი მადლობა გადავუხადო. მომდევნო წლისთვის ვისურვებდი, რომ ქართველ მეწარმეებმა შეძლონ მათი სამეწარმეო პოტენციალის ათვისება, გამოწვევების ამოცნობა და დაძლევა და სასურველი წარმატების მიღწევა.

[1] UN Department of Economic and Social Affairs (2013)



ნინო მამადაშვილი
ბიზნეს აკადემია

„მართე დრო შვეიცარიული საათივით“

ხშირად გვსმენია თავის მართლება - დრო არ მაქვს. დროის სიმცირე თანამედროვე სამყაროს ერთ-ერთი ყველაზე დიდი პრობლემაა. აჩქარებულ რიტმში და ყოველდღიურ ქაოსში, რაც თანამედროვე ადამიანს აკრავს გარს, თვით ორგანიზება და თვით კოორდინირება კიდევ უფრო რთული ხდება. მაგრამ ჩვენს ირგვლივ ვხვდებით ადამიანებს, რომლებიც ისე სტრუქტურულად და ორგანიზებულად მიუყვებიან ცხოვრების დინებას, რომ შურსაც კი აღძრავენ ჩვენში. თუ სხვები ახერხებენ ამ ქაოსთან განმკლავებას, ჩვენც გამოგვივა, თუ დროსთან სწორად მოპყრობას ვისწავლით.

ამისი საუკეთესო საშუალება მოგვცა ფონდმა BPN - მა და მისმა თანამშრომლებმა.

სემინარმა დაგვაფიქრა, რატომ ვცხოვრობთ ისე, როგორც ვცხოვრობთ. ჩვენ დავინახეთ, რომ ზედმეტად ბევრ დროს ვფლანგავთ და ვცდებით უმნიშვნელო საქმეებზე როგორც პირადულ საკითხებში, ისე სამსახურში, რომ დღის არასწორი დაგეგმვა და გადაუდებელსა და მნიშვნელოვან დავალებებს შორის პრიორიტეტების არასწორ განაწილება დროის წნეხისა და სტრესის ქვეშ გვაქცევს, რომ მიზნების არაზუსტი ფორმულირება და მომავლის და ყოველდღიური გეგმის არარსებობა ჩვენს წარმატებას ეჭვქვეშ აყენებს.

ხშირად მცდარად ვფიქრობთ, როცა მთელს ჩვენს ძალისხმევას ერთი მიმართულებით ვხარჯავთ, იქნება ეს კარიერა, პროფესიული ზრდა და ფული თუ ოჯახი, პირადი ცხოვრება, მეგობრები და სხვა სახის სოციალური კონტაქტები. სემინარზე ვისწავლეთ, რომ ადამიანი ცხოვრების ოთხივე სფეროს უნდა აქცევდეს ყურადღებას: პირად სფეროს, სამსახურს, ჯანმრთელობას და გონებრივ განვითარებას. ამით ის დააბალანსებს თავის ცხოვრებას და შეამცირებს დეპრესიის ალბათობას. ჩვენთვის უცხო იყო სემინარამდე, რომ სტრესს (დისტრესს) დადებითი გავლენის მოხდენა შეუძლია და ჩვენში წარმატებისთვის საჭირო უნარებს და ენერგიას აღვიძებს.

სემინარზე მრავალჯერ შეგვახსენეს, რომ ყველა ადამიანს თანაბარი დრო, 24 საათი აქვს გამოყოფილი დღე ღამის განმავლობაში და თუ ზოგიერთი ახერხებს თანაბარი დროის პირობებში მსოფლიო თავისი აღმოჩენებით, ინოვაციებით და საქმიანობით გააოცოს, ჩვენც უნდა შევეცადოთ კონკრეტული დროის მონაკვეთში მოვლენათა გონივრული ორგანიზებით და გონივრული დაგეგმვით სულ მინიმუმ ჩვენი ყოველდღიურობა მაინც მოვაწესრიგოთ.

სემინარზე იყო სასიამოვნო ატმოსფერო. რეფერენტს და BPN - ის თანამშრომლებს სემინარის მონაწილეების და ერთმანეთის მიმართ ძალიან სასიამოვნო და უშუალო დამოკიდებულება ჰქონდათ. სემინარი გაჯერებული იყო სლაიდებით და მცირე წარმოდგენებით, რაც მასალის უკეთ აღქმაში გვეხმარებოდა. სემინარი იყო დინამიური, ინტერაქტიული და სასარგებლო. შესვენებები და ზოგადად სემინარი კარგად იყო ორგანიზებული. მონაწილეები სრულად იყვნენ ჩართული პროცესში. სემინარი გაიხსნა და დასრულდა ფრაზით, რომელიც მუდამ თავ გაგვყვება ცხოვრების მანძილზე: დღეს არის პირველი დღე შენი დარჩენილი ცხოვრებიდან.

სოფი კახნიაშვილი
საწარმოთა ქოუჩინგი

პირველი ვორკშოპი რეგიონებში, პარტნიორი საკრედიტო ორგანიზაციების მოძიება

საქართველოს 2020 წლის ეკონომიკური სტრატეგიის მიხედვით სამ ძირითად საკვანძო საკითხთაგან ერთ-ერთი „პროდუქციის სექტორის განვითარების გზით სწრაფი და ეფექტური ეკონომიკური წინსვლის ხელშეწყობაა“. ამ სტრატეგიაში BPN - ი სრულიად ეთანხმება საქართველოს ეკონომიკის სამინისტროს: საქართველოს ესაჭიროება მყარად ფუნქციონირებადი და დინამიური მწარმოებელი სექტორი, რათა შეიქმნას მდგრადი ღირებულებები და გრძელვადიანად გვქონდეს დამოუკიდებელი და დინამიური ეკონომიკური განვითარების გარანტია.

იმ ინფორმაციის გათვალისწინებით, რომ მწარმოებელი დაწესებულებები უხვადაა თავმოყრილი თბილისის მიღმაც, BPN - მა გასულ წელს განიხილა საკითხი, მომავალში საგანმანათლებლო მოდულები და ქოუჩინგი შერჩეულ რეგიონებშიც შეეთავაზებინა, განსაკუთებით ისეთ ქალაქებში, სადაც მსგავსი საწარმოო ეკონომიკური საგანმანათლებლო შემოთავაზებების სიმწირე შეინიშნება.

აგვისტოს ბოლოს ჩვენს გუნდს შემოუერთდა გამოცდილი თანამშრომელი გია წიკლაური სამცხე ჯავახეთიდან. მისი დახმარებით 16-17 ოქტომბერს ახალციხეში 12 მონაწილისგან შემდგარი ვორკშოპი ჩატარდა თემაზე ბიზნეს გეგმის და ფინანსური ცხრილების შედგენა. მონაწილეთა შორის იყვნენ მეწარმეები როგორც სოფლის მეურნეობის, ტექსტილის, სამშენებლო და ხის დამუშავების დარგიდან, ასევე სერვისის სფეროდანაც, როგორიცაა საგანმანათლებლო დაწესებულება, ტურიზმი, გასტრონომია და სასტუმროები.

მეორე საპილოტო რეგიონად ახმეტა შეირჩა . BPN - ი რვა და ცხრა დეკემბერს შეხვდა ადგილობრივ მეწარმეებს და ბიზნეს გეგმის და ფინანსური ცხრილების შექმნის ძირითადი პრინციპები გააცნო. მონაწილეთა შორის იყვნენ ტურიზმის, სოფლის მეურნეობის და სხვადასხვა სერვისის სფეროს წარმომადგენლები.

2017 წელს ჩვენი ყურადღება დაეთმო ასევე მეწარმეთა ხელშეწყობის მიზნით არსებულ ქართულ საკრედიტო შემოთავაზებებში გარკვევას. მსგავსი საკრედიტო ორგანიზაციების მესვეურებთან შეხვედრების დროს გამოიკვეთა, რომ კრედიტებზე მოთხოვნამ ბოლო წლების განმავლობაში პიკს მიაღწია და უკვე დღეის მონაცემებით 80 დარეგისტრირებული საკრედიტო ორგანიზაციაა. ონლაინ საკრედიტო ორგანიზაციები და არაფორმალური ფინანსური დაწესებულებების რიცხვი ცნობილიც კი არაა. ამ სიტუაციიდან გამომდინარე ახალი საკრედიტო ორგანიზაციის დაარსება BPN - ის ბაზაზე ისედაც გადავსებულ ბაზარზე საღ აზრს იქნებოდა მოკლებული.

ამიტომ BPN - მა გადაწყვიტა მოლაპარაკება ეწარმოებინა მცირე და საშუალო ბიზნესის ხელისშემწყობ საკრედიტო ორგანიზაციებთან, რათა მომავალში ერთობლივი პაკეტი შეეთავაზებინათ კრედიტის, ქოუჩინგის და საწარმოო ეკონომიკის დარგში საგანმანათლებლო მოდულების კომბინაციით.

ჩვენთვის ნათელია, რომ მხოლოდ კრედიტებით მდგრადად ფუნქციონირებადი საწარმოო სექტორი ვერ იარსებებს. კრედიტები მხოლოდ დამხმარე საშუალებაა მიზნისკენ და არა პრობლემის მოგვარების ერთადერთი გზა.

BPN - ის მთავარი მიზანია, ადგილობრივ მეწარმეებს ხარისხობრივად მაღალი დონის პროდუქტის თუ სერვისის განვითარებისთვის ინვესტიციების გაღებაში მხარი დაუჭიროს, რომ ქართული პროდუქტი ადგილობრივ და საერთაშორისო ბაზარზე მოთხოვნადი გახდეს.

მზია რაზმაძე
ფირმის მმართველი

საწარმოს პროფილი
წიგნი+ერი

ვიდრე გამომცემლობა ,,წიგნი + ერის“ დირექტორი გავხდებოდი, მანამდე ჩემი ინტერესებიდან გამომდინარე წლების მანძილზე არაერთ პროფესიას დავეუფლე, სწორედ ამიტომ საინტერესო და მრავალფეროვანი იყო ჩემი პროფესიული საქმიანობაც, რასაც მძიმე 90-იან წლებში ერთი ძალიან პატარა საკუთარი ბიზნესიც დავუმატე. მომხმარებელს ვთავაზობდი საოფისე პროგრამების შემსწავლელ კურსებს, რასაც საკმაოდ კარგი გამოხმაურება მოჰყვა და შემოსავალიც მოჰქონდა. ამ დროს გამიჩნდა სურვილი გამეღრმავებინა ჩემი ცოდნა ბიზნესის წარმოების სფეროში. ასეც მოვიქეცი და მივიღე შესაბამისი აკადემიური განათლება, გერმანიაშიც გავიარე კურსი საბანკო საქმეში და შემდეგ წლების განმავლობაში ეკონომისტებისთვის ლექციებსაც ვკითხულობდი. ერთ დღესაც ჩემმა ვაჟმა მთხოვა დავხმარებოდი მას საკუთარი ფირმის - სარეკლამო კომპანიის მართვაში. რა თქმა უნდა, დავთანხმდი და მე და ჩემმა ვაჟმა გარკვეული პერიოდის შემდეგ 2012 წელს დაგროვილი გამოცდილების ფონზე გადავწყვიტეთ დაგვეფუძნებინა საგამომცემლო ფირმა ,,წიგნი + ერი“. ჩვენ შევისწავლეთ ბაზარზე არსებული მოთხოვნილებები და გადავწყვიტეთ დაგვეკავებინა ერთი ნიშა. ორიენტირი ავიღეთ სამეცნიერო პოპულარულ, ფსიქოლოგიურ, საგანმანათლებლო ლიტერატურაზე, რომელიც საინტერესო იქნებოდა ქართველი და უცხოელი მკითხველის ფართო წრისათვის და მოემსახურებოდა ქართველი ერის სულიერი და მატერიალური ფასეულობების წარმოჩენას. ჩვენ ეს ნაწილობრივ უკვე შევძელით. სიამაყით ვაცხადებ, რომ სერიული გამოცემა ,,ჩვენი ღირსებანი“ ამის საუკეთესო დასტურია. ჩვენი პრიორიტეტი ხარისხია და ენერგიას არ ვზოგავთ იმისთვის, რომ მიუხედავად არაერთი პრობლემისა, რომელსაც ბიზნესში გვერდს ვერ ავუვლით, ,,წიგნი + ერი“ ინტელექტთან და ხარისხთან ასოცირდებოდეს.

ჩვენ რა თქმა უნდა მიღწეულით არ ვკმაყოფილდებით, მუდმივად თვალს ვადევნებთ მსოფლიო ტენდენციებს და აქედან გამომდინარე ვცდილობთ საქართველოს ბაზარზე მუდმივად წარმოდგენილნი ვიყოთ აქტუალური და საინტერესო და რაც მთავარია ხარისხიანი გამოცემებით, წიგნებით, რომლებიც ფართო წრეებამდე მივა და ერის ინტელექტუალურ განვითარებას შეუწყობს ხელს.

,,წიგნი + ერის“ უკან დგას მაღალი დონის პროფესიონალთა გუნდი, რომელიც ჩვენთან ერთად თავდაუზოგავად ზრუნავს ჩვენი გამომცემლობის განვითარებაზე და წინსვლაზე და ამით ჩვენ ვცდილობთ, პატარა წვლილი შევიტანოთ ჩვენი ქვეყნის ნათელ მომავალში.

,,წიგნი + ერი“ გასცდა თბილისის ფარგლებს და უკვე რეგიონებშიცაა წარმოდგენილი, ეს მხოლოდ დასაწყისია, ჩვენ ჩვენი შესაძლებლობების მაქსიმუმი არ ამოგვიწურავს და მჯერა, წინ კიდევ ბევრი წარმატება გველის.

აქვე მადლობა მინდა გადავუხადო შვეიცარიულ ფონდს, BPN Georgia, რომლის დახმარებითაც შევძელი სწორად შემეფასებინა ჩემს ფირმაში მიმდინარე პროცესები და ახლა მეტი თავდაჯერებით ვდგამ ისეთ ნაბიჯებს, რომლებისგანაც აქამდე თავს ვიკავებდი. ბევრი რამ ვისწავლე BPN Georgia-ს სემინარებსა და ქოუჩინგებზე, აქ მიღებულმა ცოდნამ დამანახა ჩვენი სუსტი მხარეები, შემმატა გამბედაობა, ეს მეხმარება სწორი გადაწყვეტილებების მიღებაში, სწორი ღონისძიებების გატარებაში, რამაც უკვე მოიტანა თვალშისაცემი შედეგები.

მზია რაზმაძე ,,წიგნი + ერის“ დირექტორი

სოფო ჯიქია
ფირმის მმართველი

საწარმოს პროფილი
ჩირი ფრუტი

ჩირი ადამიანების სრულფასოვანი საკვებია, რომელიც ამავდროულად ბავშვობაშიც გვაბრუნებს, როცა ჩვენი ბებიების ჩირი ჩვენთვის საუკეთესო ნუგბარი იყო მთელი ზამთრის პერიოდში.

ამ ტრადიციის გამოძახილმა და შვილების მომავალზე ფიქრმა დაახლოებით 3 წლის წინ მიმიყვანა „ჩირი ფრუტის“ დაფუძნების იდეამდე. იდეა თავიდან სპონტანური იყო, მაგრამ გვერდში ამომიდგნენ ჩემი დები, რომლებიც ჩემსავით მრავალშვილიანი დედები არიან და დედაჩემი და ასე ერთიანი ძალებით შევეჭიდეთ სრულიად ახალ საქმეს. თავიდან საჭირო ინფორმაცია ინტერნეტში მოვიძიეთ, არაერთი ტრენინგი გავიარეთ, სომხეთშიც ჩავედით, საჭირო ცოდნა რომ მიგვეღო ჩირის წარმოების ტექნოლოგიაში. შევიძინეთ მცირე დანადგარები და დავიწყეთ ექსპერიმენტები ჩვენი შვილების მონაწილეობით. ჩვენი მიზანი იყო მომხმარებლისთვის გემრიელი, სასარგებლო და ინოვაციური პროდუქტის შეთავაზება. ჩვენ ეს გამოგვივიდა და „ჩირი ფრუტი“ დღეს ბაზარზე წარმოდგენილია მრავალფეროვანი და განსხვავებული ასორტიმენტით. ჩვენს ერთგულ ქართველ და ასევე უცხოელ მომხმარებელს ვთავაზობთ სხვადასხვა ხილის ჩირს შოკოლადში, სტაფილოს და ფორთოხლის ცუკატებს, გოგრის ტყლაპს და კიდევ არაერთ განსხვავებულ პროდუქტს. რამდენიმე ქალაქის ცენტრში განთავსებული ქართული პროდუქტების მაღაზიის გარდა ჩვენი პროდუქციის შეძენა დღეს უკვე დუტი ფრიშიც შეიძლება, ამას გარდა ვთანამშრომლობთ ამერიკის საელჩოსთან, პრესტიჟულ სასტუმროებთან და რესტორნებთან, ხშირად გვიწევს კორპორატიული შეკვეთების მიღებაც. მოთხოვნა დღითიდღე იზრდება, ამიტომ წარმოების გაფართოებაა საჭირო, რაც თავის მხრივ გვაძლევს საშუალებას კიდევ უფრო მეტი სამუშაო ადგილი შევქმნათ. ჯერჯერობით „ჩირი ფრუტში“ ჩვენს გარდა კიდევ ექვსი ადამიანია დასაქმებული. ჩვენი მომხმარებლის მოთხოვნიდან გამომდინარე საკუთარი მაღაზიის გახსნასაც ვგეგმავთ. ეს ყველაფერი ბიზნესის წარმოების სფეროში ცოდნის გაღრმავებას მოითხოვს, სწორედ ამიტომ ძალიან ბედნიერი ვარ, რომ აღმოვაჩინე BPN Georgia. უკვე დავესწარი BPN Georgia-ს რამდენიმე ვორქშოფს და სემინარს, რაც ძალიან დამეხმარა „ჩირი ფრუტისთვის“ პრიორიტეტების შერჩევასა და აქცენტების სწორად დასმაში.

„ჩირი ფრუტი“ დღეს საქართველოს ბაზარზე საკმაოდ წარმატებულია, მაგრამ ჩვენ მზად ვართ კიდევ უფრო მეტი წარმატებისთვის, თუმცა ისიც კარგად გვაქვს გააზრებული მეც და ჩემს დებსაც, რომლებიც ასევე მთელს ენერგიასა და მონდომებას დებენ ჩვენი პატარა საწარმოს განვითარებაში, რომ ეს მხოლოდ დაუღალავი შრომისა და საქმისადმი ერთგულებით მიიღწევა. დაბრკოლება არაერთი შეგვხდა, დაბრკოლებები ალბათ კიდევ იქნება, მაგრამ ჩემი დევიზია „არ დანებდე“, „გიყვარდეს შენი საქმე და ყველაფერი გამოვა“. მეც და მთლიანად ჩვენი გუნდი ძალას და ენერგიას არ დავიშურებთ და „ჩირი ფრუტი“ კიდევ არაერთ გემრიელ და ინოვაციურ პროდუქტს შესთავაზებს თავის ერთგულ მომხმარებელს და თავის პატარა წვლილსაც შეიტანს ჩვენი ქვეყნის ეკონომიკური განვითარების ისტორიაში.

სოფო ჯიქია „ჩირი ფრუტის“ დამფუძნებელი და დირექტორი.

რას ამბობენ ჩვენი სემინარის მონაწილეები BPN-ის შესახებ

გელა ჭალიძე: „ჩემთვის იმდენად სასარგებლო იყო ეს სემინარი, რომ მე მაშინვე დავიწყე ჩემი დროის ეფექტურად გამოყენებაზე და სასარგებლო ჩვევების გამომუშავებაზე ფიქრი და მათი განხორციელება“.

ფატი ბუხრიკიძე: „ძალიან პროდუქტიული ვორქშოპი იყო. საინტერესო ცოდნა მომცა გრძელვადიანი სტრატეგიის და ჩემი ფირმის სტაბილური მომავლის შესაქმნელად“.

გიორგი ჭუმბურიძე: „აღფრთოვანებული ვარ „დროის მენეჯმენტის“ სემინარით. ძალიან საინტერესო იყო შინაარსობრივად. მიღებულ ცოდნას აუცილებლად გამოვიყენებ ყოველდღიურ ცხოვრებაში“.

ნინო მურჯიკნელი: „BPN - ის სემინარზე მივიღე საკმაოდ დიდი კონსულტაცია ჩემი მომავალი საწარმოს საქმიანობაში. იყო სწორად დაგეგმილი. გავიცანი სასიამოვნო ადამიანები“.



მაია ნადირაძე: „ტრენინგმა ჩემი მოლოდინი გაამართლა. იყო ძალიან საინტერესო, შინაარსიანი, ვისწავლე ბევრი რამ, რასაც ცხოვრებაში და ბიზნესში გამოვიყენებ“.

მარინე აღოშაშვილი: „კმაყოფილი ვარ იმით, რომ რასაც საჭიროდ არ ვთვლიდი, იმის აუცილებლობა დავინახე. აღფრთოვანებული ვარ სემინარის ხელმძღვანელობით“.

BPN Georgia, გ. ახვლედიანი ქ. 5
0108 თბილისი
032 2 92 20 26, 599 87 93 41
info@bpngeorgia.ge